



მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 15 აპრილი, 2016 წელი

დრო: 16:00 – 18:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა
2. ვლადიმერ ბოჟაძე - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი
3. კახა გოგოლაშვილი - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი
4. მერი გელაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
5. ალლა გამახარია - კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“
6. მარინე სოლომონიშვილი - საერთაშორისო ფონდი „ლეა“
7. ნაირა ბეპიევი - „კავკასიური მოზაიკა“
8. ლეილა ნაროუშვილი - რეპატრიანტთა კავშირი
9. თიკო ტყემელაშვილი - მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
10. ლაშა მკურნალიძე - სკოლა-ოჯახი-საზოგადოება
11. ანა შენგელია - „გადავარჩინოთ მომავალი თაობა“
12. სალომე ჩაგელიშვილი - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი
13. ლაშა ჯუღელი - საქართველოს გაეროს ასოციაცია
14. გიორგი ჭილაძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
15. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო

სკაიპით ერთვებოდნენ:

16. ნანული რამიშვილი - პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“

განსახილველი საკითხები:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან შეხვედრისთვის წინა წელს შემუშავებული განსახილველი საკითხების კორექტირება და ახალი წინადადების დამატება;
2. აფხაზეთისა და გალის რაიონის 11 სკოლაში ქართულ ენაზე სწავლების ამოღების შესახებ მიმართვის განხილვა;
3. საგნის „მე და საზოგადოება“ სკოლაში დანერგვის საკითხი;
4. სხვა.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა ჯგუფის კოორდინატორმა და დამსწრებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

პირველ საკითხად ჯგუფმა განიხილა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის წარსადგენი განსახილველი საკითხების კორექტირებისა და ახალი წინადადების დამატების საკითხი.

ქალბატონმა ნაირა ბეპიევმა ჯგუფის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ამ დრომდე ოსურენოვანი მოსახლეობისთვის არ მიმდინარეობდა სწავლება მშობლიურ ოსურ ენაზე, ეს პრობლემა ნაწილობრივ მოიხსნა და დაემატა ოსური ენის სწავლება, თუმცა შეზღუდული დროით - კვირაში მხოლოდ ორი გაკვეთილი, რაც რა თქმა უნდა, არ ხსნის პრობლემას და რეალურად შეუძლებელია 2 საათში, მოსწავლეებმა შეითვისონ მშობლიური ენა, ისე რომ შემდგომ ამ ენაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ჰქონდეთ. როგორც ქალბატონმა ნაირამ აღნიშნა, ფიქრობს, მნიშვნელოვანია ამ საკითხის განხილვა.

ქალბატონმა მარინე სოლომონიშვილმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს ეროვნულ პლატფორმასა და მთავრობას შორის გაფორმებულ თანამშრომლობის მემორანდუმზე და აღნიშნა, რომ სასურველია კონკრეტულ სამინისტროებთან წინასწარ გაიწეროს გეგმიური შეხვედრების თარიღები იმ დროისთვის აქტუალურ საკითხებზე მსჯელობებისთვის.

საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ, ბატონმა კახა გოგოლაშვილმა დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა მემორანდუმის ფარგლებში უკვე ჩატარებულ პირველ სექტორალურ შეხვედრაზე და აქვე დასძინა, რომ სამდივნოსთან ერთად უკვე მიმდინარეობს სამოქმედო გეგმაზე მუშაობა, სადაც დეტალურად გაიწერება სამინისტროებთან შეხვედრების გრაფიკი. მან ასევე შესთავაზა ჯგუფის წევრებს, რომ თუ კი მათი მოსაზრებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრა სასწრაფოა, შემდეგი ეტაპისთვის სწორედ აღნიშნულ სამინისტროსთან დაიგეგმოს შეხვედრა და მოითხოვოს სწრაფი რეაგირება დასმულ საკითხებზე. ასევე, როგორც ამ, ისე სხვა შეხვედრებზე გაკეთდება დეტალური ოქმები, რომლის საფუძველზეც პლატფორმას ექნება შესაძლებლობა განახორციელოს მონიტორინგი, რამდენად შესრულდა კონკრეტული სამინისტროსგან მიღებული დაპირება.

რაც შეეხება შეხვედრის ფორმატს, ბატონმა კახამ აღნიშნა, რომ პლატფორმა სამინისტროს გაუგზავნის საკითხების ჩამონათვალს. შესაძლოა, მცირე ანოტაცია დაერთოს საკითხებს, რომელიც დააზუსტებს თუ კონკრეტულად რა შენიშვნა აქვს პლატფორმას აღნიშნული მიმართულებით და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების შეხვედრაზე დასწრებას კი უზრუნველყოფს, უკვე სამინისტრო.

ბატონმა ლაშა მკურნალიძემ ჯგუფის წევრებს შესთავაზა, რომ საკუთარი ორგანიზაციის რესურსით უზრუნველყოს მინისტრის მოადგილეებსა და საჭიროების შემთხვევაში, მინისტრთან შეხვედრის ორგანიზება, თუმცა მან აქვე აღნიშნა, რომ უმჯობესია პლატფორმის მიერ გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში დაიგეგმოს პირველი შეხვედრა, რომ არსებობდეს კონკრეტული სტრატეგია, რომლითაც იხელმძღვანელებს პლატფორმა.

ბატონმა ნუკრი ყველაშვილმა წარადგინა ინიციატივა, შეიქმნას მთლიანად პლატფორმის ფარგლებში სამუშაო ჯგუფი, რომელიც ჩამოაყალიბებებს იმ რეკომენდაციებსა და წინადადებებს, რომლებიც უნდა წარედგინოს განათლების სამინისტროს. ამასთანავე, სამდივნო მოიწერება განსახილველ საკითხებს და სთხოვს ჯგუფის წევრებს დაურთონ მოკლე ანოტაცია, რომ შემდეგ შეჯერებული სახით მიეწოდოს განათლების სამინისტროს.

ბატონმა ლაშა მკურნალიძემ აღნიშნა, ამ და სხვა საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საგულისხმო ხარვეზებია განათლების სისტემის მარეგულირებელ საკანონმდებლო დოკუმენტებში. კანონებს შორის ურთიერთსაწინააღმდეგო მუხლებსა და მათ საერთაშორისო კონვენციებთან წინააღმდეგობების შესახებ ისაუბრა, ასევე, ბატონმა გიორგი ჭილაძემ.

ქალბატონმა თიკო ტყეშელაშვილმა ყურადღება გაამახვილა სკოლებში არსებულ გაუმართავ ინფრასტრუქტურაზე და აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ორგანიზაცია მუდმივად მუშაობს. მათ ჰქონდათ შეხვედრები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პასუხისმგებელ დეპარტამენტსა თუ შესაბამის სსიპებთან-თან, თუმცა უშედეგოდ და გამოთქვა სურვილი სკოლების ინფრასტრუქტურული მოწესრიგების საკითხი შევიდეს განსახილველ საკითხთა ჩამონათვალში.

შემდეგ საკითხად ჯგუფმა განიხილა საგნის - „მე და საზოგადოება“ სკოლაში დანერგვის საკითხი. გიორგი ჭილაძემ მოკლე პრეზენტაცია გააკეთა მიმართვასთან დაკავშირებით. როგორც ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, მიმართვაში გათვალისწინებულია მეოთხე ჯგუფის განათლებისა და მეცნიერების ქვეჯგუფში გაჟღერებული შენიშვნები.

მან პლატფორმის თავმჯდომარეს ასევე მიმართა ინიციატივით, დაიწყოს მუშაობა ტექნიკური ბარიერების შესამცირებლად, რომელიც გულისხმობს ქვორუმის მაღალი მაჩვენებლის აუცილებლობას განცხადებების/მიმართვების პლატფორმის სახელით გავრცელებისთვის და შესთავაზა რეგლამენტში გაიწეროს უფრო მოქნილი პროცედურა. ბატონმა კახამ აღნიშნა, რომ წერილზე პასუხის არ გამოგზავნა შეიძლება ჩაითვალოს დადებით პასუხად, რაც გაამარტივებს სამუშაო პროცესს, თუმცა მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებები ერთობლივად უნდა გადაწყდეს და არა ერთპიროვნულად.

ბატონმა ნუკრიმ დააყენა ინიციატივა, შეხვედრაზე მყოფმა ორგანიზაციებმა, რომლებიც იზიარებენ მიმართვის შინაარსს აქვე მოაწერონ ხელი და შემოუერთდნენ განცხადებას.

შეხვედრის დასკვნით ეტაპზე, ჯგუფის წევრებმა განიხილეს აფხაზეთისა და გალის რაიონის თერთმეტ სკოლაში ქართულ ენაზე სწავლების ამოღების შესახებ მიმართვის საკითხი. ქალბატონმა ალლა გამახარიამ წარადგინა მოკლე პრეზენტაცია გალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია განცხადება ასევე მიემართოს ჟენევის მოლაპარაკების მონაწილე ყველა მხარეს.

შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება, იმისთვის, რომ მიმართვა გავრცელდეს პლატფორმის სახელით, სამდივნო მიმართვის ტექსტს გადაუგზავნის საკოორდინაციო საბჭოს და მას შემდეგ, რაც საბჭო იმსჯელებს მიმართვის ტექსტზე და შეთანხმდება, სამდივნო გააგზავნის მას მთელ პლატფორმაში, რომ შემოუერთდნენ პლატფორმის წევრი სხვა ორგანიზაციებიც.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე სიჭინავა.